დაიცავით ადამიანები და ცხოველები, ებრძოლეთ ანტიბიოტიკორეზისტენტობას

რეკომენდაციები მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მწარმოებლებისთვის

მეცხოველეები (მაგ. მსხვილფეხა საქონლის, ღორის, ცხვრის, თხის) და მეფრინველეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ანტიმიკრობული რეზისტენტობის განვითარებისა და გავრცელების შემცირებაში. დანერგეთ ეს პრაქტიკა ცხოველების, ფერმის თანამშრომლების, საზოგადოებისა და ჩვენი საკვები პროდუქტების უსაფრთხოების დასაცავად.

1. ითანამშრომლეთ ვეტერინართან

- ხშირად იკონტაქტეთ თქვენს ვეტერინართან; სწორედ ის წყვეტს, როდისაა საჭირო ანტიბიოტიკები ცხოველთა დაავადებების სამკურნალოდ, კონტროლისა და პრევენციისთვის.
- სთხოვეთ რჩევა ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ინფექციების პრევენციის შესახებ, თქვენი ფერმის ზომის, ცხოველთა სახეობისა და გარემოს გათვალისწინებით.

2. იზრუნეთ ცხოველთა ჯანმრთელობაზე

- დაინერგეთ მოვლისა და ბიოუსაფრთხოების კარგი პრაქტიკა ფერმაში, ტრანსპორტირებისას და საწარმოო ობიექტებში.
- დაიცავით ცხოველთა კეთილდღეობის სტანდარტები: უზრუნველყავით უსაფრთხო სასმელი წყალი, კარგი კვება, სუფთა ჰაერი და მოერიდეთ გადატვირთულობას.
- ჩაატარეთ ვეტერინარის მიერ რეკომენდებული ვაქცინაცია და დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ გამოაცალკევეთ დაავადებული ცხოველები.
- გამოიყენეთ ნარჩენების მართვის საუკეთესო მეთოდები და გაწმინდეთ აღჭურვილობა მწარმოებლის რეკომენდაციების შესაბამისად.

3. გამოიყენეთ ანტიბიოტიკები დანიშნულებისამებრ

- ზედმიწევნით დაიცავით ვეტერინარის მითითებები დოზირების, მკურნალობის ხანგრძლივობისა და ადმინისტრირების გზების (მიცემის წესის) შესახებ.
- აწარმოეთ ანტიბიოტიკების გამოყენების აღრიცხვა (თარიღებისა და დროის მითითებით) და მიაწოდეთ ვეტერინარს ინფორმაცია მკურნალობის შედეგების შესახებ.
- უსაფრთხოდ მოიშორეთ გამოუყენებელი ან ვადაგასული ანტიბიოტიკები. არასოდეს გადაღვაროთ წამლები კანალიზაციაში ან ტუალეტში.

4. დაიცავით საკუთარი თავი და თქვენი თანამშრომლები

- ფერმაში ყოველ 20 თანამშრომელზე უნდა მოდიოდეს მინიმუმ ერთი ტუალეტი და ხელსაბანი (საპნითა და გამდინარე წყლით), სამუშაო ზონიდან მაქსიმუმ 5 წუთის სავალზე.
- დარწმუნდით, რომ თანამშრომლებს ჩატარებული აქვთ შესაბამისი ვაქცინაცია და გავლილი აქვთ უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ტრენინგი.
- საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ და სწორად გაასუფთავეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანები, ჩექმები, ნიღბები და რესპირატორები).